საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

„აწარმოე საქართველოში“ დირექტორის

ბრძანება

KA020141807416321

№ ს-39 **17 / მაისი / 2021 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აწარმოე საქართველოში“ ინვესტიციების დეპარტამენტის მიერ 2021 წელს განსახორციელებელი პროგრამების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აწარმოე საქართველოში“ (შემდგომში - სააგენტო) ინვესტიციების დეპარტამენტის მიერ 2021 წელს განსახორციელებელი პროგრამები, დანართის შესაბამისად.

2. ბრძანებით დამტკიცებული პროგრამების განხორციელება დაევალოს სააგენტოს ინვესტიციების დეპარტამენტს.

3. ბრძანებით დამტკიცებული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ბიუჯეტის განსაზღვრა და კონტოლი დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (0105 ქ, თბილისი, სანაპიროს ქ. N2 (იუსტიციის სახლი, ყოფილი ენერგეტიკის სამინისტრო).

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ დირექტორი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

მიხეილ ხიდურელი

ინვესტიციების დეპარტამენტის პროგრამები - 2021 წელი	
პროგრამის დასახელება	**პროგრამის მოკლე აღწერა**
1. საერთაშორისო აქტივობები	საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაციისთვის დაპრიორიტეტულ სექტორებში ახალი საინვესტიციო პროექტების დაწყების ხელშეწყობისთვის საჭიროა საერთაშორისო პოტენციურ ინვესტორ კომპანიებთან პრო-აქტიური მუშაობა. შესაბამისად, პროგრამა გულისხმობს საერთაშორისო ღონისძიებებზე დასწრებასა დაპრიორიტეტულ სექტორებში მოღვაწე კომპანიებთან შეხვედის მიზნით საერთაშორისო ბიზნეს მისიების ორგანიზებას. აღნიშნული ღონისძიების შედეგად მოხდება პოტენციური ინვესტორების დაინტერესება და გაიზრდება საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ ცნობადობა.
2.სექტორული კვლევებისა და საინვესტიციო პროექტების მომზადება	პოტენციური ინვესტორებისთვის საქართველოს შესაძლებლობების წარსადგენად იქმნება სექტორული კვლევები. სექტორული კვლევების მიზანია რეგიონის დასაქართველოს პოტენციალის შეფასება, ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების გამოვლენა, საქართველოს შედარება (benchmarking) კონკურენტ ქვეყნებთან და ინვესტორებთან წარსადგენი საინვესტიციო შეთავაზებების/პროექტების მომზადება.
3.მონაცემთა ბაზები	ვინაიდან მსოფლიოში ძალიან დიდი კონკურენციაა ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, აუცილებელია ინვესტიციების დეპარტამენტი ფლობდეს უახლეს და ვრცელ ინფორმაციას პოტენცურ ინვესტორებზე, მათ მიზნებსა და გეგმებზე, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად მოხდეს სამიზნე კომპანიების შერჩევა და მათთან თანამშრომლობა. ასევე, მნიშვნელოვანია, ინფორმაციის ფლობა თუ როგორ ედრება საქართველო სხვა კონკურენტ ქვეყნებს ისეთ კატეგორიებში, როგორებიცაა ხელფასები, კომუნალური ხარჯები და სხვა, რომლებიც საინტერესოა პოტენციური ინვესტორებისთვის.
4.საქართველოს შესახებ საერთაშორისო საიმიჯო კამპანიები	ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ჯერ ისევ რჩება საერთაშორისო ბაზრებზე დაბალი ცნობადობა. სწორედ ამიტომ, აუცილებელია სხვა აქტივობებთან ერთად საქართველოს საინვესტიციო და ბიზნესგარემოს პოპულარიზაცია რასაც საიმიჯო კამპანიები ემსახურება.
5.ადგილობრივი აქტივობები	პოტენციური ინვესტორებისთვის საქართველოს შესაძლებლობების ადგილზე ჩვენება და უკვე არსებულ ინვესტორებთან მუდმივი კომუნიკაცია ინვესტიციების მოზიდვისა და რეინვესტირებსთვის აუცილებელი აქტივობებია. შესაბამისად, პროგრამა გულისხმობს პოტენციური ინვესტორების მასპინძლობასა და სექტორული შეკრებების მოწყობას უკვე არსებულ ინვესტორებთან უკეთესი კომუნიკაციის დამყარების მიზნით.